საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ **მამუკა ბახტაძეს**

ასლი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს

ქალბატონ **ნათია თურნავას**

მოქ. **ჯემალ შაინიძე**

პ/ნ 01030017963

მცხ: ქ.თბილისი, დიდი ლილო, ერეკლე მეორის მე–4 შესახვევი, მე-2 კორპუსი, ბინა №7

ტელ: 593 271 012

ელ. ფოსტა: vanadze.murad@mail.ru

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2018 წლის 10 აპრილს ჩემს მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (განცხადება №E0660 – 10.04.18წ.) და სახელმწიფო ქონების მმართვის ეროვნულ სააგენტოში (განცხადება №36152/ფ – 10.04.2018წ.) შეტანილი იქნა განცხადება, რომელიც ეხებოდა ქვემო ქართლში, წალკის მუნიციპალიტეტში, დაბა ბედიანში მდებარე ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკის გამოსყიდვას, შემდგომში პროფილის შენარჩუნებით ინვესტიციის განხორციელების მიზნით. მიუხედავად ჩემი მზადყოფნისა თანამშრომლობაზე, ქონების მართვის სააგენტოდან მივიღე პასუხი, რომ ...„**ამ ეტაპზე ქონების მართვის სააგენტო არ განიხილავს აღნიშნული საწარმოს პრივატიზირების საკითხს**“... ვინაიდან სააგენტოს პასუხი იყო შუალედური, არ წარმოადგენდა უარს, მომეცა იმედი და კვლავ მივმართე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 02.04.2019 წ. (განცხადება №E0638 – 02.04.2019წ.) და ქონების ეროვნულ სააგენტოს განცხადებით ზემოდ აღნიშნული ობიექტის გამოსყიდვის შემდგომში ინვესტიციის განხორციელების მიზნით. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტისგან მივიღეს პასუხი (რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს), გვთხოვდა წარგვედგინა მათთვის დეტალური პროექტი. მე ჩემს ბიზნეს ჯგუფთან ერთად შევეცადე მათთან კომუნიკაციას, რათა დეტალურად დამეზუსტებინა სამომავლოდ თუ რას ითხოვდა და რა ხედვა ჰქონდათ მათ აღნიშნულ საკითხზე, რათა შემდგომ პროექტის შედგენისას

შესაძლებლობის ფარგლებში გამეთვალისწინებინა. მიუხედავად ჩემი მცდელობისა აღნიშნულ საკითხზე საკონსულტაციოდ არ ისურვეს შეხვედრა და შემოიფარგლნენ სატელეფონო კონსულტაციით.

ვინაიდან მათი „სატელეფონო კონსულტაცია" იყო ბუნდოვანი, ნაკლებად ინფორმაციის შემცველი და ატარებდა იმპერატიულ ხასიათს, არ იკვეთებოდა მათი ხედვები და დამოკიდებულებები აღნიშნულ საკითხზე, ამიტომ თავი შევიკავე მათთვის წერილობითი ბიზნეს-გეგმის პროექტის წარდგენაზე.

აქვე დავამატებ, რომ მე და ჩემი გარემოცვა (ბიზნეს ჯგუფი) მზად ვართ ჩავერთოთ აღნიშნულ პროექტის განხორციელებაში. კერძოდ: თუ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო რეალურ ფასში (და არა კოსმოსურ ციფრებში გამოხატულ ფასში) გამოიტანს აუქციონზე აღნიშნულ ობიექტს მივიღო მონაწილეობა ან ერთპირთან მოლაპარაკებით მოვახდინო აღნიშნული ობიექტის პრივატიზირება. შემდგომში ინვესტიციის განხორციელების მიზნით, საინვესტიციო თანხა 6 წლის მანძილზე იქნება ორი მილიონი ლარი, მომგებიანი საწარმოს შექმნის რეალური პერსპექტივით. აღნიშნული ჩემი წინადადების დასადასტურებლად წარმოგიდგენთ ჩემი და ჩემი ბიზნეს ჯგუფის ხედვებს, კონკრეტული მინი პროექტის სახით.

ჩვენი მიზანია ერთმნიშვნელოვნად ვიხელმძღვანელოთ საქართველოს მთავრობის 31.12.2014 წლის №762 დადგენილებით არსებული „ფსიქიკური ჯანმრთელობის განვითარების" დოკუმენტით. შევუნარჩუნოთ დაბა ბედიანში ობიექტს პროფილი, უფრო მეტიც განვავითარო, თუნდაც ეს მოიცავდეს მრავალ ათეულ წელს, მათ შორის მუდმივადაც კი. უშუალოდ დაბა ბედიანში ავაშენო ფსიქიკური პრობლემების მქონე ბენეფიციარებისთვის თავშესაფარი (არსებული სტანდარტების მიხედვით სამი 24 საწოლიანი) 72 ბენეფიციარზე. წალკის რაიონში ერთი 24 ბენეფიციარზე გათვლილი თავშესაფარი, თეთრიწყაროს რაიონში ორი 24 ბენეფიციარზე გათვლილი (ანუ 48 ბენეფიციარისთვის) თავშესაფარი. აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის გვესაჭიროება 6 (ექვსი) წელი. საწყის ეტაპზე თუ მოხდა დეტალებზე შეთანხმება (უნდა გავითვალისწინოთ მაღალმთიანი რეგიონის სპეციფიკა, მკაცრი კლიმატური პირობები), ვიწყებ პირველსავე დღიდან ბედიანში არსებულ **გაუსაძლისი (ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით) პირობების გაკეთილშობილებას!** სველი წერტილები, ბუფეტები და ა.შ.). ვინაიდან და რადგანაც პროექტის გაშლა წელს ვეღარ მოესწრება, ამიტომ ჩემი მიზანია **ბედიანის ფსიქიატრიულ კლინიკაში ამ წუთისათვის არსებული უმძიმესი, არაადამიანური პირობების გამოსწორება.** ქონების მართვის ეროვნული სააგენტოს მზაობა – თანხმობის შემთხვევაში მზად ვარ მათთან კონსულტაციებისათვის, თანამშრომლობისათვის და პროექტის დეტალებზე (კონკრეტულ საკითხებზე) შეთანხმებისათვის. მე მიმაჩნია სატელეფონო კონსულტაციები არასერიოზულია და აფერხებს საკითხის მოგვარებას. საჭიროების შემთხვევაში მზად ვარ გავზარდო საინვესტიციო თანხა.

ჩემი მხრიდან არის ერთადერთი პირობა, რომ აღნიშნული ობიექტების ოპერირება განვახორციელო მე თვითონ. ბედიანის ფსიქიატრიული კლინიკის ტერიტორია, ჩემთვის როგორც მეწარმისათვის არის მიმზიდველი. შესაძლებლობა გააჩნია და გარწმუნებთ, რომ ბიზნესი განვითარდება რამოდენიმე მიმართულებით.

ასე მაგალითად: ბუნებრივი მონაცემები (ლანდშაფტი, მდებარეობა და ა.შ.) იძლევა იდეალურ შანს სარეაბილიტაციო სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის შექმნისას ე.წ. ტურისტული მედიცინის განვითარებისას (ანუ მეზობელი ქვეყნიდან პაციენტების მოზიდვას).

რამოდენიმე მიმართულებით წარმოების განვითარება, მათ შორის ეკოლოგიურად სუფთა – ჯანსაღი პროდუქციის წარმოება, როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე მეცხოველეობის განვითარების კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ხელს შეუშლის მიგრაციას. ცალსახად მოახდენს რეგიონში ეკონომიკის კუთხით მოსახლეობის წინსვლას და შესაბამისად მზარდ სამუშაო ადგილების შექმნას.

პატივისცემით

ჯემალ შაინიძე

25.06.2019 წ.